


87 წელი თქვენთან ერთად!

87 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 88-ე წელი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

სახოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №17 {7022} 1 სექტემბერი 2020 წელი • [www. Terjola. gov. ge](http://www.Terjola.gov.ge)

... ტრაგედიიდან ტრაგედიამდე...

არ ვიცი რომელ დედას, ან საერთოდ, რომელ ადამიანს სძინავს ახლა მშვიდად... ერთმანეთის მიყოლებით, ზოგჯერ ერთდროულად ისე ხდება ეს ავადსახსენებელი ტრაგედიები, ვერ გავრკვეულვართ... ჯერ ერთი ვერ მოგვინელებ-მოგვივლოვია და უკვე ახალი, ახალი და კიდევ ახალი... უმეტესწილად გველუბებიან ახალგაზრდები, ხელიდან გვეცლება ქვეყნის მომავალი, ნუთუ არ არსებობს ხსნა, ძალა, რომ ეს საშინელებათა წყება შეაჩეროს?!

იმ დღეს გლოვის ნიშნად თერჯოლაშიც დაუშვეს დროშა, შატილის ტრაგედიას შეწირული 17 ადამიანის პატივსაცემად...

მანამდე კი, რამდენიმე დღის ადრე თერჯოლა შეძრა ახალგაზრდა გოგონას ვარდაცვალებამ, რომელიც უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა, იმავე დღეებში იყო მანქანაში ჩაცხრილული ახალგაზრდა კაცის ტრაგედია...

და ახლა სრულიად გაოგნებული და შეძრწუნებული თითოეული ჩვენგანი... ამჯერად, არა მარტო თერჯოლამ, არამედ სრულიად საქართველომ ოჯახურ ძალადობას შეწირული 11 წლის ბიჭუნა უნდა დაეტიროთ...
☎2



ახალი სასწავლო წლის შესახვედრად!


მართალია, ახალი სასწავლო წლის განახლება 15 სექტემბრისათვის დაანონსდა, მაგრამ მთელ რიგ სასწავლო დაწესებულებებში ეს პროცესი უფრო ადრეც დაიწყო... სასწავლო პროცესისათვის აქტიურად ემზადებიან ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებსა და ბაგა-ბაღებში, სკოლისგარეშე დაწესებულებაში...
დაწვრილებით ის. გვ.3



დავით კლიაშვილი-158

დავით
კლიაშვილის
სახელობისა...

☎4



თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებას დაიწებს ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის, ნინო ჯანელიძის ხელმძღვანელობით, რიგგარეშე სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი, მერის მოადგილე მანუჩარ რობაქიძე, მერიის სამსახურების ხელმძღვანელები.

სხდომის წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს შატილის გზაზე დაღუპულთა ხსოვნას.
☎2

რთველის მოახლოვებამ საფიქრალიც მოგვიმატა

უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ წელს ყურძნის კარგი მოსავალი იქნება. სანგრძლივმა გვალვამ მართალია ნათესები ძლიერ შეაწუხა, მაგრამ სამაგიეროდ ვაზის მავნებელ-დაავადებებს აღარ მიეცა გავრცელების საშუალება.
☎2



... ტრაგედიიდან ტრაგედიამდე...



ჯერ არ ვიცით, სხვა დროს მონესრიგებულმა და ხალისიანმა, სიცოცხლით სავსემ თავად განირა თავისი სიცოცხლე თუ... როგორც ამბობენ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მამა თურმე სხვა დროსაც ძალადობდა შვილზე. ბიჭის დედა კი ამ დროს ქვეყნის ფარგლებს გარეთ საარსებო საშუალების საძებნელად გადახვეწილი, ფაქტიურად უდებოდ გაიზარდა ბიჭი. როგორც ჩანს ის ხშირად უხმობდა მშველელს... სამწუხაროდ, ვერც დედამ და დამ საბერძნეთიდან, ვერც აქ მყოფმა ახლობლებმა, ვერაფერს შეძლო თერთმეტი წლის ბიჭის გადარჩენა...

სამინელა დატრიალდა... არ ვიცი, „ხანმა უნდობარმა მოიტანა, ასე უხვად, სისხლი და ცხედრები“ თუ ღმერთი გაგვიყურა ჩვენ, ცოდვილებს, ჩვენივე უგუნურების გამო. ალბათ ერთიც და მეორეც. ბოლოს და ბოლოს როდემდე გაგრძელდება ასე, როდის იქნება ყველა ინსტიტუცია თუ რგოლი თავის ფუნქციას რომ მეტი პასუხისმგებლობით

და გულისხმიერებით მოეკიდება; როდის მოვეგვებით ჩვენ ყველანი გონს, რომ ჩვენი ადამიანური მოვალეობა ურთიერთდახმარებისა, ურთიერთტკივილის გაზიარებისა, საფრთხის აცილებისა მეტად გავითავისოთ?

ვინ აგებს პასუხს ტრაგედიათა წყების გამო, რომელიც ასე მომრავლდა, ან ამ კონკრეტულ შემთხვევაში...

კიდევ ერთი სიცოცხლეს მოწყურებული ბიჭი დაეკარგეთ.

საშინლად მტკივა გული და მრცხვენია.

მრცხვენია ადამიანების გამო, ვინც ამას ჩადის, მრცხვენია, რომ მეც იმ საზოგადოების წევრი ვარ, ვინც კლავს, ვისაც კლავენ...

მრცხვენია იმ გულგრილ ადამიანთა გამო, ვისაც შეეძლო ამ ტრაგედიის თავიდან აცილება...

ვუერთდებით ყველა იმ ადამიანის მწუხარებას, ვინც ამ ტრაგედიამ შეძრა...

გვაპატიე, პატარა ვაჟუცაო...

მზია ციციშვილი

უფასო გინეკოლოგიური კვლევები...

„თერჯოლამდეში“ სამშობიარო სახლის გახსნას პირველი შედეგები უკვე მოჰყვა. დაიწყო და გრძელდება უფასო გინეკოლოგიური კვლევები



მუნიციპალიტეტის სოფლებში. ძვერში, თუზში, ალისუბანში, ზედა საზანოში, ზედა და ქვედა სიმონეთში, ენერში, ბარდუბანში 500-ზე მეტმა ქალმა გაიარა კვალიფიციური გინეკოლოგიური გამოკვლევა.

სამშობიარო სახლის ექიმთა გუნდი: სამშობიარო სახლის უფროსი, მეანგინეკოლოგი მინდია კოპალეიშვილი, ქალთა კონსულტაციის გამგე, გინეკოლოგი ლალი გვეტაძე, ექოსკოპისტი ნუცა

ლუჯავა, ნეონატოლოგიური სამსახურის უფროსი, ჩვილთა პედიატრი მარია კვეტენაძე, დილიდან, მთელი დღეების განმავლობაში მუშაობდნენ ამ სოფლებში და სოფლის მოსახლეობის კმაყოფილება და მადლობა დამსახურეს.

ამავე გუნდმა სამეანო გინეკოლოგიური კვლევა ჩაატარა ქ. ტყიბულში. ტყიბულში იმყოფებოდნენ პედიატრიული განყოფილების ექიმები, აქაც ასეულობით მოქალაქემ მიიღო უფასო გამოკვლევა.

შუშუნა ცხადაძე



რთველის მოახლოვებამ საფიქრალიც მოგვიმატა



მეტად სასიამოვნო სანახავია მტვერებით დახუნძლული ვაზის მწკრივები, მაღლარია თუ დაბლარი. აგერ ძელშავმა შეთვალა დაიწყო, რაც იმის მაუწყებელია, რომ მალე დიდი რთველიც კარს მოგვადგება. ახლა იმის ფიქრი უჩნდება ჩვენებურ გლეხს, როგორ გაუკეთოს რეალიზაცია ჭარბ პროდუქციას, სად და როგორ გაყიდოს მოსავალი.

ნ. ვერულაშვილი, სოფ. სიქთარვა: ახალი ცხოვრების შენების კვალობაზე პრობლემები დაგვიგროვდა სოფლად მაცხოვრებლებს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხომ თავად უნდა იზრუნო, როგორც მოსავლის მოყვანაზე ისე მის რეალიზაციაზე, განსაკუთრებით იმათ გვიჭირს, ვისაც ჯერ კიდევ შემოგვრჩა ვაზის ფართობები. ჯერაა და შხამ-ქიმიკატების სიძვირის გამო გართულდა ამ პრობლემადი კულტურის მოვლა, მოიყვან მოსავალს და აღარ იცის სად გაყიდო, რომ ორიოდ გროში აიღო და ოჯახს მოახმარო. ადრე ეს პრობლემა ცხადია არ იყო, ღვინის ქარხნები იზარებდნენ ყურძნის მოსავალს. ღვინო იყო და იმდენი მთხოვნელი, ვეღარ აუდიოდით. ესაა მიზეზი, რომ ბევრმა გული აიყარა ვაზზე, აღარ მისდევს მის გაშენებას. ყურძენი სათუთია და გასაყიდად ქალაქებში მისი ტრანსპორტირება ძალზე რთულია. წი-

ნა წლებში შპს „ბაგრატიონი“ იყო შემოსული და ის იზარებდა მოსავალს, ციციქას საშამპანურედ. აქეთ მეღვინეობა „ხარება“ და დილიდა კარდაკარ და პირდაპირ ფართობში უსწორებდა გლეხს ანგარიშს. ახლა აღარც ერთია და აღარც მეორე ჩამბარებელი. „ბაგრატიონმა“ საერთოდ ამოიკვეთა ფეხი რაიონიდან, „ხარება“ კი თავისი ვენახები გააშენა, ჩვენსას აღარ იზარებს.

ეს პრობლემა ძალიან მისახედია და კარგი იქნება, თუ ადგილობრივი ხელისუფლება დაგვეხმარება ფერმერებს ყურძნის რეალიზაციაში.

ს. ქარქაშაძე, სოფ. ღვანკითი: „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ ნათქვამია და რომ არა ეს დაწყველილი კორონავირუსი, ვერც გავიგებდით, რა კარგი ყოფილა პროდუქციის რეალიზაციის ის ფორმა, რომელიც მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნებში ყოფილა დანერგილი. იქ

თურმე ფერმერებს მანამ უდებენ ხელშეკრულებებს პროდუქციის შესყიდვაზე, სანამ შემოვიდოდეს. შემოვა პროდუქტი? მოვლენ და წაიღებენ. აგერ პანდემიის გამო თვენახევარი ჩაიკეტა სოფელი. დაუგროვდა მოსახლეობას ყველი, რძე... არ იყო საფიქრალი? უშველის ღმერთი ხელისუფლებას ადგილობრივსაც, ზემდგომსაც,—გაითვალისწინეს ხალხის გასაჭირი და დაგვეხმარნენ პროდუქციის რეალიზებაში. გაიხსნა სოფელი და დავეწყეთ ისევ საირული ზესტაფონსა და ქუთაისში, სადაც გადაწყვიდელები გვინებენ ფასს. არადა რამხელა შეღავათი იქნება მოსახლეობისათვის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, რომ შეეძლოთ პროდუქციის რეალიზება. აგერ დღეს თუ ხვალ ყურძენი იქნება ჩასაბარებელი, ვერ იტანს ეს დალოცვილი ტრანსპორტირებას შორ მანძილზე, იჭყლიტება ცელოფნის პარკებში (ყუთები სადღაა) და ფასიც

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებას დაიწებს ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება



დეპუტატებმა განსახილველად წარმოდგინდნენ 8 საკითხზე იმსჯელეს და ყველა მათგანს დაუჭირეს მხარი. შედეგად, მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში შევიდა ცვლილება, რაც გულისხმობს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 1192,9 ათასი ლარით გაზრდას.

დეპუტატებმა ცნობად მიიღეს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულება.

ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალურ სამსახურს უზურფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადაეცა კვახჭირის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე წყალსადენის სისტემა.

სხდომის წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების შექმნას.

ასევე მხარდაჭერილია ცვლილება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამაში, რომლის ბიუჯეტი ამ გადაწყვეტილებით 50.0 ათასი ლარით გაიზარდა.

რიგგარეშე სხდომამდე საკრებულოში შესაბამისი თემატური კომისიებისა და ბიუროს სხდომა გაიმართა. გარკვეული საკითხები განიხილეს საკრებულოს ფრაქციებშიც.



აღარ აქვს რომ უნდა ისეთი...

ჯ. მოდებაძე, სოფელი თუზი: შეიდა ათეულ წელს გადავცილდი, ფიზიკურადაც ვმუშაობდი (ახლაც ვმუშაობ ცხადია) და ხელმძღვანელ თანამდებობაზეც ვიყავი. ძლიერი მეურნეობა მაქვს. ვენახია ისეთი, ავ თვალს არ ენახებოდა. ნამდვილად კარგი მოსავალი იქნება წელს ყურძნის, ვინც მოუარა, ცხადია. ესაა, რომ რეალიზაცია კვლავ გავიჭირდება, აგერ საზანოში ღვინის ქარხანა იყო, ადრე, მოვიდოდა ლაფეტინი თვითმცლელი და წაიღებდა ყურძენს. აგურ-აგურ გაიყიდა ამხელა ქარხანა და გლეხმაც აღარ იცის სად წაიღოს მოსავა-

ლი. თუხელი კაცი რომ ქუთაისში, ან ტყიბულში წაიღებს ყურძენს გასაყიდად რა მოგება დარჩება. ამიტომ ადგილზე დაწურვას ამჯობინებ, მაგრამ ვინღა ღვინის გამსალბელი, პირადად შარშანდელი და შარშანწინდელიც ეგერ მისხია ჭურებში. ამ პრობლემას უნდა მოველოს, თორემ ვაზის ფართობები კიდევ უფრო შემცირდება. ხომ ფაქტია, რომ თუ წლების წინ რაიონში 14-15 ათასი ტონა ყურძენი იკრიფებოდა, ახლა ეს ციფრი თუ არ ვცდები, 5-6 ათას ტონამდე მერყეობს.

არადა ჩვენებური გლეხი უვაზოდ და უღვინოდ ძნელი წარმოსადგენია.

ჩაინერა ი. მრამდამ

ახალი სასწავლო წლის შესახებ ვეცდეთ!

ზრუნვა უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად (ვითარება საჯარო სკოლებში)

მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლებთან (რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე) შეხვედრაზე, რომელიც მერის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა გოგიაშვილის ინიციატივით გაიმართა და მერიისა და საკრებულოს შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ, განიხილეს მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი. რა მდგომარეობაა სკოლებში, რა პრობლემების წინაშე დგანან პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესი შეუფერხებლად და უსაფრთხო გარემოში წარიმართოს, რა დახმარებაა საჭირო ადგილობრივი ხელისუფლებისა თუ რესურსცენტრის ხელმძღვანელობისაგან, როგორია მზადება ახალი სასწავლო წლისათვის და სხვა...

უპირველესად უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებული მუშაობაა განეული მუნიციპალიტეტის ყველა, 24 საჯარო და 1 კერძო სკოლაში ინფრასტრუქტურის მონერგვისათვის. შენდება სამი ახალი სკოლა: სიქთარვაში, ჩხარში (ჩხარის №2 საჯარო სკოლა, იგივე მეტლახი), საზანოში (მეორე კორპუსი 26 მაისში). 14 საჯარო სკოლაში კი სველი წერტილების მონერგვას მიენიჭა პრიორიტეტი. ყოველთვის და განსაკუთრებით ახლა, კორონავირუსის პანდემიის პირობებში, სანიტარული ნორმების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მარტო სველი წერტილების მოსანერგებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან 700 ათას ლარზე მეტია გამოყოფილი.

დებმა აქაც გადაინია. ***
ქ. თერჯოლის №1, ღვანკითის, გოგნის, ქვ. ალისუბნის №1, ქვ. სიმონეთის №1, კვახჭირის, ენრის, ახალთერჯოლის, საზანოს, თუზის, ზედა ალისუბნის, გოდოგინის, ნაგარევის, თავასის საჯარო სკოლებში სამუშაოების შემსრულებლის შპს „მტმ“-ს დირექტორის მექლუდ გენადის განცხადებით, სწავლა ყველა ამ სკოლაში დროულად დაიწყო, შეფერხების გარეშე და შესრულებული სამუშაოს ხარისხის გარანტიით. ამ სოფლებში, გარდა გოგნისა და ალისუბნისა, სველი წერტილების მოსანერგებად სკოლებში არსებული ფართი იქნა გამოყოფილი. ***

ჩვენ შევხვდით ღვანკითის, გოგნის, ალისუბნის, თერჯოლა №1 და ქვ. სიმონეთის სკოლებში სამუშაოთა მწარმოებელს ივანე ნასარიძეს—იგი ამბობს, რომ შეუსვენებლად მუშაობს ხუთივე ბრიგადა, რომ ჩაეტევა ვადებში, რადგან ყველაზე ძნელი სამუშაოები შესრულებულია. მაგ. ღვანკითში კედლები მთლიანად დამუშავებულია, იატაკი მოჭიმულია (მშენებელმა სტიაშკა იგულისხმა), ელექტროგაყვანილობა დამთავრებულია, მონერგულია კანალიზაციის შიდა ქსელი, ორ დღეში დაიგება ფილები და მეტლახი, მომდევნო ორ დღეში სეპტიკი (ორმო-ბასეინი) გაიჭრება.

თერჯოლის №1-ში მიმდინარეობს კაფელის გაკვრა, აქ არ სჭირდება კანალიზაციის ორმო (სეპტიკი) შიგა ქსელეში, ცენტრალურ სისტემას შეუერთდე-



ობები დასრულების ფაზაშია, სიქთარველი მოსწავლეები სწავლას ახალ, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აშენებულ სკოლაში დაიწყებენ. ზედა საზანოს მეორე კორპუსი, რომელიც 60 ბავშვზეა გათვალისწინებული ოქტომბერში დამთავრდება, აქ, სკოლის დირექტორის, მამუკა მექვაბიძის თქმით, პანდემიის გამო მშენებლობის ვადებმა გადაინია, ახალი სკოლის აშენებამდე სწავლას 26 მაისიდან ამჟამად მოქმედ სკოლაში გაავრცელებენ, სექტემბერში სწავლა არც ჩხარის №2 საჯარო სკოლის ახალ შენობაში განახლდება, სწავლა სკოლის არსებულ შენობაში გაგრძელდება, რადგან მშენებლობის ვა-



ბა. ახალთერჯოლაში ჩასმულია კარფანჯრები, გაკრულია მეტლახი, ჭერზე პლასტიკატია გაკრული. ყველაგან იქნება სველი წერტილი შენობის შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის. მალე დაიწყება დასუფთავების სამუშაოები. თოთხმეტივე სკოლაში სწავლა შეფერხების გარეშე დაიწყება, ასეთია ამჟამინდელი ვითარება, განწყობა და დაპირება. მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურთან ერთად ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობის მდგომარეობის მონიტორინგი გრძელდება.

ლაშა გოგიაშვილი—მე მაინც ცენტრალური გათბობის მომხრე ვარ...

სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლებთან და ბაგა-ბალების დირექტორებთან შეხვედრისას მერის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა ლაშა გოგიაშვილმა, გამომსვლელების მიერ საკითხების დაყენების, მათი განხილვის და შესაძლო გადაწყვეტის გზების ძიებისას, არაერთხელ გაიმეორა, რომ მრავალთა შორის, მისთვის პრიორიტეტი ბაგა-ბალებში ცენტრალური გათბობისათვის ზრუნვა იქნება.



შეხვედრაზე ეს საკითხი, თითქმის, როგორც მიუწვდომელი, არავის დაუყენებია, სხვა, შედარებით წვრილმან, მაგრამ აუცილებლად მოსაგვარებელ საკითხებზე იყო საუბარი: ბაგა-ბალების ერთ ნაწილში რემონტის ჩატარება, მიშენება-გაფართოება, სახურავის შეცვლა, შემოღობვა, მისასვლელი გზების თუ სანიტარულ არხების მოწყობა და სხვა, ცენტრალური გათბობის საკითხი ზამთრის მოახლოების და გათბობის ძირითადი საშუალების—შეშის დროულად მომარაგებას მოჰყვება... ესეც ხომ ყოველწლიური და საკმაოდ დიდი ხარჯიაო—დაისვა კითხვა.

შეხვედრა ძირითადად მაინც გაცნობითი ხასიათისა იყო, პირველ ხელმძღვანელს სურდა გაეგო—ვის ხელშია სკოლამდელი აღზრდა და რა პირობებში იზრდება მომავლის თაობა, მაგრამ იმის გამო, რომ ერთი შეხვედრა საკმარისი არ იქნება, ბატონმა ლაშამ თქვა, რომ დროა დადრო ყველა ბაგა-ბაღს მოინახულებს, მანამდე კი სკოლამდელი აღზრდის ხელმძღვანელი, მუნიციპალიტეტის მერიას ბაღებში არსებულ პრობლემებს წარუდგენს.

ბაგა-ბალების თითქმის ყველა დირექტორს ახსოვს უახლესი წარსული. იყო დრო, როცა დღეში ერთ ბავშვზე 1 ლარი იხარჯებოდა, როცა სათამაშოები და სასწავლო ნივთები სახლიდან დაჰქონდათ, ნისიად იღებდნენ მალაზიებიდან პროდუქტს, მაგრამ მაინც აკმაყოფილებდნენ სწავლა-აღზრდის გარკვეულ დონეს. ახლა მეტი იხარჯება და შესაბამისად ბევრი კეთდება, მაგრამ ცენტრალური გათბობის საკითხი პირველად დადგა... უნდა დაველოდოთ!

დაახ, იყო მოთხოვნები, მაგრამ იყო სამაღლობელიც იმის თაობაზე, რომ მუნიციპალიტეტის ყველა ბაღი არა მარტო შენარჩუნდა, არამედ ბევრი ახალი აშენდა, თანამშრომლები არ შემცირებულა, პირიქით, გაიზარდა, ხელფასების მომატების საკითხიც დაისვა, მაგრამ ბატონ ლაშას ნათქვამს „პანდემიამ სასიცოცხლო მნიშვნელობის ხარჯები წაიღო“—გაგებით შეხვდნენ.

იშვიათად დასმული საკითხები

მაია თორთლაძე—მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებს არასდროს გაუფლით ავტორიზაცია, მალე დადგება დრო, როცა ეს პროცესი სავალდებულო იქნება. ბატონ ლაშას კითხვა—გაუძლებს კი ავტორიზაციის სირთულეს ჩვენი ბაგა-ბაღები—პასუხგაცემელი დარჩა. გურამ-თურქაძე—რამდენიმე წელია ბაგა-ბაღების ყველა აღზარდელს საშობაო ღონისძიებაზე ვინვევთ, ამ ღონისძიებას მე ვხელმძღვანელობ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ დრო გადის და ძველდება ყველაფერი, ესეც მოძველდა. უმჯობესი იქნება ასეთი ღონისძიებები ადგილებზე ჩატარდეს—მოზარდი იყოს არა მასწავლებელი, არამედ თვითონ მონაწილეობდეს ბაღებში დაგვემღე ზეიმში. ეს აზრი ყველამ მოიწონა.

თვეების განმავლობაში პანდემიის პირობებში ვცხოვრობდით. ბაგა-ბაღებში აღმზრდელი პროცესი შეწყდა, მაგრამ არ შეწყვეტილა მათთვის კუთვნილი პროდუქტის მიწოდება. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მუშაობის განახლების დრო ახლოვდება, მაგრამ „კოვიდ 19“-თან დაკავშირებით უსაფრთხოების დაცვის რეკომენდაციები ჯერ მიღებული არ აქვთ, როგორ და რა პირობებში განახლდება ბაგა-ბაღებში აღმზრდელი მუშაობა ჯერ უცნობია.

ბაგა-ბაღების ხელმძღვანელებთან

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე, მერის მოადგილე მანუჩარ რობაქიძე, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი მირზა ქორიაშვილი, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გოდერძი თურქაძე, საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე სოფიო ბუსკივაძე.

მუნიციპალიტეტის მერიის პირველმა პირმა გაიცნო ბაგა-ბაღების დირექტორები, ცნობილი გახდა პრობლემები და მიღწეული შედეგებიც. დარჩა შთაბეჭდილება, რომ ბატონ ლაშას გაჰყვა რწმენა იმის თაობაზე, რომ პატარების აღზრდის საქმე საიმედო ხელშია.

როცა მშობელთა ჩართულობა მალაია

ბაგა-ბაღებში აღმზრდელი პროცესის განახლების საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მშობლებში. შეხვედრის დანერგვამდე შეკრებულმა ბაგა-ბაღების დირექტორებმა ერთმანეთთან სააღმზრდელი პროცესებში შესაძლო ცვლილებაზე და ახალ რეგულაციებზე შეხვედრები გააზიარეს, მათ არ იციან როგორი იქნება რეკომენდაციები, მაგრამ თავიანთი ხედვები აქვთ. „მთავარია უსაფრთხოების სტანდარტები“; „უსაფრთხო დისტანცია ძნელი იქნება, მაგრამ უნდა გამოიძებნოს შესაძლებლობა ხელი შევუწყობთ ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას“; „ბავშვს უნდა გამოვუმუშაოთ უნარები და შევანვიოთ ჰიგიენის დაცვა“; „ალბათ ნიღბების ტარება აუცილებელი იქნება“; „კვება უფრო დიდ სივრცეებში იქნება მიზანშეწონილი“; „ცვლებში მუშაობის საკითხიც შეიძლება დადგეს“; „უკონტაქტო მისალმების შეჩვევა ალბათ გაჭირდება“; „კარგ ამინდებში აქტივობები ღია ცის ქვეშ უნდა დაგვემოთ“; „ერთმანეთის ნივთებს ვეღარ მოიხმარენ ბავშვები“ და ა.შ.

ინტერესი გამოიწვია კითხვამ—იქნება თუ არა თანამშრომელთათვის—ტრენინგები, გადამზადება ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის საკითხებზე და სხვა.

ითქვა ისიც, რომ ბაგა-ბაღებში აღმზრდელი პროცესის განახლების საკითხი განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს მშობლებში. არიან მშობლები, რომელთაც საკუთარი მოსაზრებები აქვთ იმის თაობაზე, როგორ წარმოუდგენიათ პანდემიის პირობებში აღმზრდელი პროცესის მიმდინარეობა ბაგა-ბაღებში.

თერჯოლის №2 ბაგა-ბაღის მშობელმა სოფო სიხარულიძემ, სიქთარვის ბაგა-ბაღის მშობელმა ნანა აბუხანდაძემ კმაყოფილება გამოთქვეს პანდემიის პირობებშიც კი გამოჩენილ ყურადღებთან დამოკიდებულებაზე, განიცდიან, რომ მათი შვილები და შვილების თანაბალელები თვეებია ბაღში აღარ დადიან და არც ის იციან, როგორი იქნება შემდგომი პროცესები, აქვთ ერთგვარი შიში, მაგრამ თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას.

გვერდი მოამზადა შუშუნა ცხადაძემ

დავით კლდიაშვილის სახელობისა...

ჩვენი სასიქადულო თანამემამულის, მწერალ დავით კლდიაშვილის სახელი, რომელსაც სულ მალე დაბადებიდან 158 წელი შეუსრულდება (დაბადების დღესთან დაკავშირებით იხ. ჩვენი გაზეთის 2019 წლის 1 ოქტომბრის №19 (7000) ნერილი „როდის დაიბადა დიდი მწერალი?), მისმა შემოქმედებამ უკვდავყო. მწერლის სახელობის ქუჩები და ქეგლებია თბილისში, ქუთაისში, ბათუმში... მემორიალური დაფებია გაკეთებული არაერთ შენობაზე, სადაც უცხოვრია სახალხო მწერალს, სოფელ სიმონეთში ფუნქციონირებს დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმი, მწერლის სახელობისა ამავე სოფლის საჯარო სკოლა, ქალაქ თერჯოლაში მოწყობილია მემორიალური კომპლექსი მწერლისა და მისი პერსონაჟების ქეგლებით, რომლის რეაბილიტაცია ამჟამად მიმდინარეობს...

მწერლის სახელის უკვდავსაყოფად არაერთხელ გამართულა სხვადასხვა, მაღალი ხარისხის და მნიშვნელობის ღონისძიება როგორც ჩვენს რაიონში, ისე სრულიად საქართველოსა და მსოფლიოს რიგ ქვეყნებში...დავით კლდიაშვილის ნაწარმოებების მიხედვით ყოველთვის და ყველგან დიდი წარმატებით იდგებოდა სპექტაკლები და მრავალი სხვა.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, დანესებული არ ყოფილა დავით კლდიაშვილის სახელობის ლიტერატურული პრემია.

საბედნიეროდ, 90-იან წლებში ქალაქ ქუთაისში გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთა ძალისხმევითაც ეს მდგომარეობა გამოსწორდა. ამ სასიკეთო საქმის ორგანიზატორი და ინიციატორი იყო იმერეთის სამწერლო ორგანიზაცია და მისი თავკაცი, არაერთი სახელობითი და მათ შორის, შემდგომში დავით კლდიაშვილის პრემიის ლაურეატი, ჩვენი თანამემამულე, მწერალი თემურ ლანჩავა.

ჩემთვის დიდი პატივია, რომ წლების განმავლობაში, პრაქტიკულად ამავე პერიოდის დღემდე ვარ პრემიების საკონკურსო ფორის წევრი.

ამ დღეებში, ქუთაისის „ოფისში“ შევხვდი და ვესაუბრე ბატონ

თემურ ლანჩავას, რომელიც ამავდროულად ამ საზოგადოების თავმჯდომარეა.

თემურ ლანჩავა: „ქუთაისის სამწერლო ორგანიზაციის ინიციატივით, საქართველოს მწერალთა კავშირთან შეთანხმებით და ადგილობრივი თვითმმართველობის დიდი მხარდაჭერით, 1995 წლიდან ჩვენ დავანესეთ დავით კლდიაშვილის (პროზა), ლადო ასათიანის (პოეზია), ნიკო ნიკოლაძის (პუბლიცისტიკა) და დავით კაკაბაძის (ფერწერა) სახელობითი პრემიები.

დებულების მიხედვით, პრემიების მოსაპოვებლად, კონკურსამდე რამდენიმე თვით ადრე ცხადდება საკონკურსო პირობები და შემოსული მასალები განიხილება ჟანრების მიხედვით, გამარჯვებული ავტორების გამოვლენა ხდება ფარული კენჭისყრით.

ყოფილის შემადგენლობა საზო-

გადობის ფართო წარმომადგენლობითაა დაკომპლექტებული, ასევე მოიცავს მონვეულ და ადგილობრივ მეცნიერთა, მწერალთა და მხატვართა საკმაოდ სოლიდურ ჯგუფს, რომელიც ყოველთვის ცდილობს იყოს ზედმიწევნით ობიექტური და სამართლიანი. ბოლო 15 წლის მანძილზე ამ ლიტერატურულმა კონკურსმა ორმოცამდე პრემიებული ავტორი გააცნო საზოგადოებას. აქვს ამ კონკურსს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხიბლი—იგი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მწერლებს უყრის თავს ქუთაისში და ეს შეკრება ყოველთვის დიდი ლიტერატურული საღამოებით აღინიშნება.


ხაზგასმით ვიტყვი იმასაც, რომ ქუთაისის თვითმმართველობის მხარდაჭერით შექმნილი და ამ ოთხ პრემიას ბოლო წლებში დავამატეთ ნიკო ლორთქიფანიძის, ტიცვიან ტაბიძის,

ტერენტი გრანელის, ნოდარ დუმბაძის და ანა კალანდაძის სახელობითი პრემიები.

მართალია, ბოლო რამდენიმე წელია ჩვენ კონკურსები პრემიების მოსაპოვებლად არ გამოვციხვადებთ, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მალე ყველაფერს განვახლებთ“...

ასე განაცხადა ჩვენთან საუბარში იმერეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, რომლის ნათქვამსაც ჩვენი მხრივ დავამატებდით იმ მწერალთა ჩამონათვალს, ვინც დაარსებიდან დღემდე დავით კლდიაშვილის პრემიის ლაურეატი გახდა.

- დავით კლდიაშვილის პრემიის ლაურეატები:**
- რევაზ მიშველაძე
 - თემურ ლანჩავა
 - რეზო კლდიაშვილი
 - გონერ ჭიჭიშვილი
 - ზურაბ კვეციანიძე
 - ავთანდილ ყურაშვილი
 - ოტია იოსელიანი



ძვირფასო მკითხველო, ვფიქრობ თქვენთვის ინტერესმოკლებული არ იქნება, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან გაგაცნოთ დავით კლდიაშვილის პრემიის ეს ლაურეატები.

იმის გათვალისწინებით, რომ ბევრ მათგანს (რეზო მიშველაძე, ოტია იოსელიანი) შემოქმედებას ჩვენი მკითხველი შედარებით კარგად იცნობს, უმეტესად სხვა ლაურეატებზე მოვიხირობთ.

პირველად წარმოგიდგინებ ბატონ რეზო კლდიაშვილს. იგი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ჩვენებურია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ბატონი რეზოს ფსევები ჩვენს მიწა-წყალზეა გადგმული. აქაურობის დიდი სიყვარულით ცხოვრობს, ყოველთვის მზადაა თერჯოლისა და თერჯოლელების გვერდში დგომისათვის...

რაზო კლდიაშვილი: დაიბადა 1947 წლის 24 სექტემბერს ქუთაისში. ქიმიკოსი, პროზაიკოსი, დრამატურგი. მეცნიერებათა დოქტორი ქიმიკოსი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

1990 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა რეზო კლდიაშვილის მოთხრობების პირველი კრებული. 1998 წელს გამოვიდა მისი მეორე წიგნი—„მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ“, 2002 წელს—პიესების კრებული—„იადონას თეატრი“, 2005 წელს—პიესა „ზარატუსტრას ჟამი“ (ქართულ, გერმანულ და რუსულ ენებზე).

ავტორია პიესებისა: „საპოენელა“ (კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. 1995 წელი. რეჟისორი—მ. კუჭუხიძე), „იადონას თეატრი“ (კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. 1997 წელი. რეჟისორი—გ. თოდაძე), „მორაპნელი ქალბატონები“ (მ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. 1998 წელი. რეჟისორი—მ. კუჭუხიძე), ორი ისტორიული პიესა: „პატრონი“ (1998 წელი) და „ბიზანტიის დედოფალი“ (1999 წელი), „როსტომ მანველიძე“ (თბილისის „მეტეხის თეატრი“, 2001 წელი. რეჟისორი—ს. მრეველიშვილი), „მარტოობის ბინადარი“—მონო პიესა (თეატრი „ვერიკო“, 2001 წელი. რეჟისორი—ნ. მჭედლიძე), „სოფთა“ (ქართულ-პოლანდურ-გერმანული პროექტი. ქ. ამსტერდამი, ქ. ბერლინი. 2003 წელი. რეჟისორი და ქორეოგრაფი ფერი და გეუსი), „ზარატუსტრას ჟამი“—ავტორისეული ნაკითხვა (თეატრი „ვერიკო“, 2004 წელი), „პილონი“ (ფოთის ვ. გუნიას სახელო-



ბის სახელმწიფო დრამატული თეატრი, 2007 წელი. რეჟისორი—ი. გოგია), „ზარატუსტრას ჟამი“ (მ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრი. 2009 წელი. რეჟისორი—ი. გოგია).

2000 წელს მოთხრობების კრებულისათვის „მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ“ მინიჭებული აქვს დავით კლდიაშვილის სახელობის პრემია.

2002 წელს პიესების კრებულისათვის „იადონას თეატრი“ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

2009 წელს მიენიჭა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრემია „სეზონის (2008-2009 წ.წ.) საუკეთესო სპექტაკლისათვის“ როგორც პიესის ავტორს, რეზო კლდიაშვილს, აგრეთვე რეჟისორ ირაკლი გოგიას ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში განხორციელებული სპექტაკლისათვის „ზარატუსტრას ჟამი“.

არის ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

რაზო კლდიაშვილი წყალნითელა ნოველა

ვინრო ხეობაში განოლილი წყალნითელა იმ შიშველ ქალს მოგაგონებთ, რომლის სურნელი და მიმზიდველობა იმდენად წარმტაცი და თავბრუდამხვევია, მითუმეტეს თაკარა ზაფხულში, რომ მდინარისპირა თვალსმოფარებულ ადგილებს მიმსვლელ-მომსვლელი არ აკლდება. ვინ იცის, რამდენი საიდუმლოს შემსწრენი არიან ეს ადგილები.

წელიწადი ისე არ ჩაივილიდა, წყალნითელას ტალღებს ერთი ადამიანის სიცოცხლე არ წაეღო, თანაც მამრს ერჩოდა, ახალგაზრდას. მდინარის ცოდვები თაობიდან თაობას გადაეცემოდა, მისი დაუნდობლობის ამბებს საშინელი ზღაპრებით ჰყვებოდნენ ადამიანები.

სძულდა ბებიას წყალნითელა. ზაფხულის მოახლოება კი შიშს ჰგვრიდა,—ვაი თუ მის ერთადერთ, საფიცარ შვილიშვილს ფიცი გაეტეხა და ტოლებთან ერთად მდინარეზე გაპარულიყო.

ფიცი კი ხშირად ირღვეოდა. მე და ჩემი უზნელი ბიჭები თითქმის ყოველდღე ვნებავრობდით ბებიას მიერ მრავალგზის შერისხულ მდინარეში.

წყალნითელა ვნებიანია, დავიგულეებს თუ არა, მოგვეფრება, გაგათამამებს, გაგათამაშება, გაგაშმაგებს და თავს დაგავინწყებს... ერთხელაც საშინელმა კვილ-

მა შეძრა ხეობა. ხმა ნაცნობი იყო. ბიჭები უმალ მდინარის ფსკერზე აღმოვჩნდით, მაგრამ სულ იქ ხომ არ დავრჩებოდით. სულის მოსათქმელად თავები რომ ამოვყავით, რას ვხედავთ, ავტოინსპექტორის სამპორბლიანი მოტოციკლის გვერდითა კალათაში ჩასკუპებული ბებია ქოლგით და ხმის გამძლიერებლით ხელში მდინარის პირას, ოღრო-ჩოღრო ფერდობებზე დაქრის და მისი „რეზიკო, ბებიას მკვლელო და



მოლაღატეე“ მთელი ხეობის გასაგონად ისმის. როცა ძალიან გაცხარდებოდა, რუსულ სიტყვებს იშველიებდა (წმინდა ნინოს გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული).

ჩავყვინთავთ, ამოვყვინთავთ, ჩავყვინთავთ, ამოვყვინთავთ, ბებია კი მოტოციკლით კვლავ დაჯაყჯაყებს. ეტყობა, მოტოციკლმა ველარ გაუძლო ამ-

დენ ჯაყჯაყს, კალათა მოწყდა ძირითად ნაწილს, დაცურდა ფერდობზე, წამოედო ლოდს და ღმერთო დიდებულო, ბებია ჯერ ჰაერში აფრინდა და მერე მდინარეში შემოფრინდა, ამჯერად მხოლოდ ქოლგით ხელში.

წყალნითელა ხმაურთან მსხვერპლს არ იყო მიჩვეული. ახლაც, მოხუცი ქალი კი არ დაინდო, თავიდან მოიცილა, ნაპირზე მიავდო. აკი ვთქვი, მამრს ერჩოდა და თანაც ახალგაზრდას-მეთქი.



ასე მგონია, ჩემი ბავშვობის იმ ფათერაკიან დღეს ბებიას ტანმა უგრძნო, მდინარის მსხვერპლთან თამაში რომ უნდა შეეჩერებინა. ისიც მგონია, რომ მაშინ წყალნითელა ჯერ გაყურდა, მერე კი ნიშნისმოგებით ჩაილაპარაკა,—ხვალინდელი დღეც ხომ ამ წლის არისო და მის მდინარეებს რალაც ავისმამუნყებელი სისინი გაერია.

ახალგაზრდული ბანაკი „თერჯოლა 2020“ დაუვინყარი დღეები

„ახალგაზრდული ბანაკი 2020“, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა გოგიაშვილის ინიციატივით, თერჯოლის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, მერიის განათლების, კულტურის და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის

სათვის, რომლებიც ბანაკში მუნიციპალიტეტის ყველა სოფლიდან მონაწილეობდნენ. სამდღიანი ბანაკი მრავალი ღონისძიებით იყო დატვირთული, მოეწყო სპორტული და კულტურული ღონისძიებები, ლაშქრობები, მოსწავლე-ახალგაზრდებმა ერთმანეთი გაიცნეს, ფიქრები

ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელმა გიგა კუბლაშვილმა, რომელიც ბანაკს ხელმძღვანელობდა სამადლობელი სიტყვები არ დაიშურა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელების მისამართით, ისინი ხომ სრული შემაღველობით დაესწრნენ ბანაკის გახსნას და



ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით, ზედა ალისუბნის საჯარო სკოლის ეზოში მოეწყო, დასამახსოვრებელი აღმოჩნდა იმ ორმოცდახუთი ახალგაზრდი-

და ოცნებები გაუზიარეს, და მეგობრდნენ. დაათვალიერეს სოფელი, მოისმინეს სოფლის ისტორია, განსაკუთრებით მოსწონდათ კარვებში ცხოვრება,

ამით ხელი შეუწყვეს შიგა ტურიზმის განვითარების საქმეს და ახალგაზრდების სამდღიანი აქტიური და შინაარსიანი ცხოვრებას...

„მთასა ზედა ფერი იცვალე“ ...

უდიდეს საეკლესიო უძრავ დღესასწაულებს შორის ფერისცვალებას გამორჩეული ადგილი უჭირავს...

...როდესაც ქრისტე მონაფეხებითურთ მივიდა თაბორის მთასთან, თან იახლა სამნი: პეტრე, იაკობ და იოანე. აღიყვანა ისინი მაღალ მთაზე. მაცხოვარმა მხურვალე ლოცვა აღავლინა მამა ღმრთისადმი. ამ დროს პირსახე შეიცვალა და მისმა სამოსმაც კი სვეტაკი ფერი გამოსცა. ქრისტეს გვერდით დადგნენ წინასწარმეტყველნი: მოსე და ელია. უცებ გამოჩნდა ღრუბელი და ღრუბლის მიღმა გაისმა მამა ღმრთის ბრძანება—ესე არს ძეი ჩემი საყვარელი, ამისი ისმინეთ—ალარსად იყვნენ მოსე და ელია, იესო მარტო იყო. მართლმადიდებელი სამყარო ზეიმით აღნიშნავს ამ დღესასწაულს.

შიდა საფეხბურთო ტურნირი
საქართველოში ბევრია მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარი. მათ შორის სიქეთარვაშიც, 19 აგვისტოს ტაძარში ყოველთვის ხალხმრავლობაა, ეს დღე დატვირთულია სხვა საერო ღონისძიებებითაც... ნელს ადგილობრივ საფეხბურთო

შორის გაიმართა. გუნდები უფრო ტერიტორიული პრინციპით იყო დაკომპლექტებული, ნაწილობრივ გვარებით. თამაშისათვის დიდხანს ემზადებოდნენ და ღელავდნენ მწვრთნელები: დათო გამეზარდაშვილი (ფეოლა), დათო ბუცხრიკიძე (მგლები)... თამაშის დროს თანდათან იმატა ინტე-

ფელში გიზო ხანიაშვილმა საუკეთესო მეკარედ დაასახელა „მგლების“ მეკარე კობა კვატაია, მცველი გოგა აბულაძე, თავდამსხმელი ოთარ კვატაია და მათ სიგელები გადასცა.

ფეხბურთის მატჩის დაწყებამდე მოწვეულ სტუმრებს და დამსწრეთ თავიანთი შემოქმედებით ახალისებდნენ სიქეთარვის საჯარო სკოლის მოსწავლეები (დირექტორი ია კვატაია). ფეხბურთის მატჩს ესწრებოდნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი, პირველი მოადგილე მანუჩარ რობაქიძე, ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელი მირზა ქოჩიაშვილი, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი გურამ თურქაძე, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი კონსტანტინე ამაშუკელი, სკოლის დირექტორი ია კვატაია, სოფლის მოსახლეობის, ბაგა-ბაღის და საჯარო სკოლის პედაგოგების ერთი ნაწილი. ბატონმა ლაშა გოგიაშვილმა გამარჯვებულ გუნდს „მგლებს“ გარდამავალი თასი და სიგელები გადასცა, მისი იდეა იყო სამსახურის სურათის გადაღება გუნდის წევრებთან და სხვა ნებისმიერ მსურველთან ერთად. „მგლებმა“ და მისმა გულშემატკივრებმა ისეთი განწყობით და მანქანების გაბმული სიგნალით დატოვეს მოედანი, თითქოს მსოფლიო თასი მოეკოთ... სტადიონიდან კი აჟღერებული საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი მოეფინა სოფელს...



გუნდებს შორის ჩატარდა ფინალური მატჩი. ტურნირი მონაცვლეობით ეძღვნება ადრე ნასული ფეხბურთელი ბიჭების—კოტე კვეციანიძის და გიგა რობაქიძის ხსოვნას. ნელს კოტე კვეციანიძე გაიხსენეთ. შიგა შეჯიბრებები რვა გუნდს შორის ჯგუფური სისტემით მიმდინარეობდა. ნახევარ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ფეოლა“ და „მავი მარგალიტი“, „მგლები“ და ლაველაქი“. გამარჯვებულები დაწველიდნენ „მგლებად“ და „ფეოლად“—ფინალიც ამ გუნდებს

რესმა, იცვლებოდნენ მოთამაშენიც. ამ დროს იყო სახუმარო შეძახილები „გაძლიერდება ახლა გუნდი, „ფეოლას“ კარებში ბურთები გაიტანეს: ანზორ ბუცხრიკიძემ, დავით ციციფურიშვილმა, გოგა აბულაძემ, ოთარ კვატაიამ. მგლების კარებში კი შოთიკო ტოფაძემ, მამია ჩაფიძემ. საბოლოოდ მატჩი „მგლების“ გამარჯვებით დამთავრდა 5:3-ით. „მიუკერძოებლად“ მსაჯობდა ირაკლი კახიძე.

მერის წარმომადგენელმა სო-

სამადლობელი

სტრიქონები ეძღვნება ჩვენს კოლეგას, ღვანლმოსილ ჟურნალისტს **თინა ქოჩიაშვილს**, რომელიც პენსიაზე გავიდა და თავის მარიკუნასთან ერთად ცხოვრებას იწყებს თავიდან...

თინა—ცხოვრება მოგვინოდებს ვიბროლოთ, ბოლომდე დავიხარჯოთ, ბოლომდე გვიყვარდეს და სრულად გავილოთ გასაღებელი. შენ ეს შეძელი.

გილოცავთ, იყავ დღეგრძელი! ვაშა, შენი გასაღებელი გზა ღირსებით განვლე. ვახეთ „თერჯოლაში“ შენი წილი ავური დადე. მასში ბევრი რამ შენი ნატერფალია, ნლები წარვიდნენ თავის ავკარვით,

„გზა(ც) სიყვარულმა გალია“... შენი ცხოვრების აქცენტი? —გვეალებოდა, —ქმნიდი, —გასცემდი!.. ეს იყო შენი ბედისწერა და განაჩენი, მას მერე იყო მხოლოდ — სხვა დანარჩენი.



პასუხისმგებელი მდივნის პოსტი გეკავა, რაც თავი გვახსოვს ჩაპკირკიტები ყოველ აბზაცს, სიტყვას თუ ასოს, ათჯერ ნაკითხულს მეთერთმეტედ გადაკრავდი თვალს ბოლომდე იხარჯებოდი, არ იტოვებდი ვალს. ახლა ისურვე ყოფნა კუთვნილ პენსიაში, დე, ასე იყოს, მაგრამ შენ მუდამ ჩვენთან იქნები, ჩვენს სიაში...

შტრიხი

შენი სიტყვა აფთიაქის სასწორზე ასანონი... ჩუმი იუმორი, გადამდები... შენი ნასვლა—დროული იყო თუ ვადამდელი, რა ბედენაა, როცა ბოლომდე დაიხარჯე, თუმცა, სად ხარ ჯერ— ცხოვრება გრძელდება და საფიქრალიც მხოლოდ წინ არის!

ნუზხარ გამყრელიძე

განცხადება

სასწრაფოდ იყიდება კერძო სახლი, ბელეტაჟზე, ავეჯით და სამეურნეო მიწით. მიწის ფართობი: 2700 კვ.მ. აქედან სახლი—135 კვ.მ. მისამართი: ქ. თერჯოლა, ვაჟა-ფშაველას 39 (ქოჩიაშვილების უბანში, ნყაროსთან). ფასი შეთანხმებით. დაგვიკავშირდით: 599 77 86 86

კარლო გიორგაძის გამოსათხოვარი

თერჯოლის რაიონის ინტელიგენციას გამოაკლდა ღვანლმოსილი პედაგოგი, მრავალი თაობის აღზრდელი, პროფესიონალი, ახალგაზრდებსა და საკუთარ საქმეზე უზომოდ შეყვარებული კარლო გიორგაძე.



კარლო გიორგაძე დაიბადა 1928 წელს სოფელ ზედა საზანოში. მან პედაგოგიური მოღვაწეობა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაიწყო და ათეული წლების განმავლობაში იდეა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. სხვადასხვა დროს მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, მაგრამ მისთვის ყველაზე საყვარელი საქმიანობა ბავშვებთან ურთიერთობა იყო. ყველა მოსწავლე გრძნობდა, რომ მისი გარეგნული სიმკაცრის მიღმა პატარების სიყვარული იმალებოდა. მუდამ ენერგიული, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული, ასაკოვანიც კი ახალგაზრდული შემართებით გამოიჩინებოდა. კარლო მასწავლებლის გვერდით მრავალი ახალგაზრდა პედაგოგი გამოიწიოთ. იგი როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს პატიოსნების, საქმისადმი ერთგულების, სამართლიანობისა და სიკეთის მაგალითებს აძლევდა. პენსიაში გასულიც კი სკოლით ცოცხლობდა, მუდამ აინტერესებდა და ხარობდა მშობლიურ სკოლაში აღზრდილთა და აღსაზრდელთა წარმატებებით. საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად კარლო გიორგაძე იყო სამაგალითო ოჯახის უფროსი, კარგი მეუღლე და საუკეთესო შვილების აღზრდელი მამა. 15 აგვისტოს დაბადებიდან 92-ე წლისთავი აღუნიშნეს ოჯახში საყვარელ და ახლობელ ადამიანებთან ერთად, რამაც უდიდესი სიხარული მიანიჭა. ვალმოხდელი წავიდა ამქვეყნიდან. მრავალი წლის განმავლობაში მხრებგამოლიტა ზიდა მომავალი თაობის აღზრდის მძიმე ტვირთი. კარლო მასწავლებლის სახელი მუდამ იქნება მისი აღზრდილების გულში. ღმერთმა სასუფეველი დაუშკვიდროს მის სულს.

საზანოს საჯარო სკოლა

„მონანილეობითი ბიუჯეტი—გზა დემოკრატიისაკენ“

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ევროკავშირის პროექტის „გურიის, იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგისათვის“ ფარგლებში გრძელდება გეგმიით გათვალისწინებული აქტივობები. პროექტი ხორციელდება კულტურულ-ჰუმანიტარული საქველმოქმედო ფონდ „სოხუმის“ დაფინანსებით.

პროექტის „მონანილეობითი ბიუჯეტი—გზა დემოკრატიისაკენ“ აქტივობებმა აჩვენა, მცირე პროექტის „ელექტრონული სერვისების როლი სამოქალაქო ბიუჯეტირებაში“ საჭიროება და სწორედ ამ თემას მიეძღვნა მრგვალი მაგიდა მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში.

ლეობა, ამიტომაც საჭიროა ყველა ხელმისაწვდომი საშუალების თუ არხის გამოყენება, მათ შორის ელექტრონული სერვისების, როგორცაა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, სოციალური ქსელი, ფეისბუქი და ა.შ.

მრგვალი მაგიდის სადისკუსიო თემის ირგვლივ თავიანთი მოსაზრებები დააფიქსირეს: გიორგი ამირანაშვილი—მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, ირმა ბახუტაშ-

ნული ვებსაიტი დღეისათვის სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მომხმარებელთა წვდომას ყველა საჭირო თუ საინტერესო პროცედურისათვის. ანუ მისი სუსტი მხარეა—ტექნიკური პრობლემა—სათანადო მიუწვდომლობა, რაც გამომწვეულია მისი რთული დიზაინით. არის მეორე საკითხიც, ადამიანებს არ აქვთ სათანადო ცოდნა ვებგვერდის მოხმარების თვალსაზრისით—სად, რა, როგორ მოძებ-

თუ როგორ შეიძლება ამოიფხვრას იგი.

გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ დღეისათვის უკვე აუცილებლობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტს ჰყავდეს ერთი პროგრამისტი.

სამოქალაქო ბიუჯეტირება მომავლის ის პროექტია, რომლის სავალდებულო განხორციელება აუცილებელი პირობა იქნება დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობაში. აღნიშნული პროექტის



რუსუდან კოვზირიძემ, რომელიც მრგვალი მაგიდის დისკუსიას უძღვებოდა, ერთგვარად შეაჯამა პროექტის „მონანილეობითი ბიუჯეტი—გზა დემოკრატიისაკენ“ ფარგლებში განეული მუშაობა. მან აღნიშნა, რომ ეს იყო ნაყოფიერი და საწყისი ეტაპისათვის მეტად მნიშვნელოვანი. სამიზნე ჯგუფებში გაერთიანებულმა საჯარო მოხელეებმა და სხვადასხვა ასაკისა და სფეროს წარმომადგენლებმა თუ დაინტერესებულმა რიგითმა მოქალაქეებმა ტრენინგის, სიმულაციური აქტივობის, გამოცდილების გაზიარების თუ მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მიიღეს გარ-

ნა პროექტის ავტორმა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, მერის მოვალეობის შემსრულებელი ლამა გოგი-აშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე, ასევე მათი წარმომადგენლობა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ზემოთაღნიშნულ აქტივობებში, ასევე აქტიურად უჭერენ მხარს მუნიციპალიტეტის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფინანსური დოკუმენტის შედგენაში ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივ მუშაობას...

სამოქალაქო ბიუჯეტირებაში ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი

ვილმა—მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე, შორენა გვენეტაძემ—მერის წარმომადგენლის ასისტენტი ზედა სიმონეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, თამაზ ლომთაძემ—მერის წარმომადგენლის ასისტენტი კვახჩიის ადმინისტრაციულ ერთეულში, მირზა აბულაძემ—ინტერნეტ პროვაიდერი, სოფო ფანჩულიძემ—საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აკაკი ზარნაძემ—ინტერნეტ პროვაიდერი—ტექსამსახური, ნინო ლილუაშვილმა—მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის შესყიდვების უფროსი სპეციალისტი, მერაბ აბესაძემ—საფინანსო სამსახურის უფროსი სპეციალისტი, გონა გიორგაძემ—მერიის აიტი, ლერი მეგრელიძემ—სტატისტიკის სამსახურის უფროსი, ავთანდილ ბუსკივაძემ—მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტი, თინათინ კუპატაძემ—იურისტი, ლილა სირაძემ—მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის პედაგოგი.

დისკუსიაში მონაწილეთა მოსაზრებები და შენიშვნები ძირითადად შეეხებოდა ელექტრონული სერვისების მუშაობის ეფექტიანობას, კონკრეტულად მუნიციპალიტეტის ვებგვერდის terjola.gov.ge მუშაობას. აღინიშნა, რომ ვებგვერდი უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი საჯარო თუ სამოქალაქო პირისათვის საჭირო ინფორმაციის თუ სხვა საკანონმდებლო მასალის მოპოვებისათვის. თუმცა, აღნიშ-

ნონ, ანუ ძალზე დაბალია ამ მხრივ მათი ცოდნის დონე და საჭიროა მათი მომზადება.

სამწუხაროდ, დაბალია მოსახლეობის მიწვდომადობა ელექტრონულ სერვისებზე, ასევე მისი გამოყენების უნარ-ჩვევებზე, რაც ხელს უშლის ადგილობრივი გადანაცვლების მიღების პროცესში მოქალაქეთა ეფექტურ ჩართულობას.

დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანია ინფორმაციის წვდომა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თუ მერიის ადმინისტრაციის კანონით აქვს ვალდებულება მოსახლეობის ინფორმირები-

კი მუნიციპალიტეტში სრული მზაობაა. მოქალაქეთა გათვითცნობიერება ამ პროცესის განხორციელებას შეუწყობს ხელს.

მრგვალი მაგიდის მონაწილენი ერთხმად შეჯერდნენ იმ მოსაზრებებზე, რომ საჯარო მმართველობითი რეფორმის რეალიზაციის საქმეში, ანუ სამოქალაქო ბიუჯეტირებაში აქტიური ჩართულობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ელექტრონული სერვისების, კერძოდ, ვებგვერდის დახვეწა; სერვისების გამოყენების უნარ-ჩვევების განვი-



კვეული ცოდნა სამოქალაქო მონაწილეობითი ბიუჯეტირების საკითხებზე. თვითმმართველობაში მოქალაქეების ჩართულობის გაზრდასა და ადგილობრივი მნიშვნელობის გადანაცვლებების თუ პრიორიტეტების მიღების თაობაზე მოსახლეობის საჭიროებებზე დაყრდნობით.

და რაც მთავარია, აღნიშ-

ნა ეტაპი საინფორმაციო კამპანიაა. მასზე და მოკიდებული ყველა ქმედების წარმატება და მოქალაქეთა ჩართულობა. საინფორმაციო კამპანია ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე უნდა დაიწყოს და გაგრძელდეს ყოველ ეტაპზე. მნიშვნელოვანია სამოქალაქო ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ფართო მონაწი-

სა ჩატარებული საქმიანობის თაობაზე, ამიტომ დისკუსიის მონაწილეთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მუნიციპალიტეტის ვებგვერდი იყოს ყველა-სათვის ხელმისაწვდომი აუცილებლობას წარმოადგენს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ამისათვის. უპირველესად უნდა აღმოიფხვრას მისი სუსტი მხარე, იმსჯელეს იმაზედაც,

თარების, მოქალაქეების ცნობიერების ამაღლების, ახალი ცოდნის მიწოდების სისტემის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა გააქტიურებას. ჯანსაღი დიალოგი კი სამოქალაქო მმართველობით რგოლებს შორის გაზრდის მოსახლეობის ჩართულობას გადანაცვლებების მიღებაში.

გზია ციფურიზილი

შპს „თერჯოლა“		კორესპონდენტები:		აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში		ჩვენი რეკვიზიტები:	
გამომცემელი	მთავარი რედაქტორი	ნ. გამყრელიძე—555 78 08 55	ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16	მისამართი:		„ლიბერთი ბანკი“	
ვალერიან ბოგიაშვილი	ლავით კლიაშვილი	ჟ. ცხადაძე—558 90 82 55	მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41	ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2		LBRTGE22,	
599 92 49 75	599 91 24 14			დაიბეჭდა ქუთაისის		ანგარიში	
სარედაქციო კოლეგია				შპს „სომელი ენ“-ის სტამბაში		GE32LB0113133960124000	
რეგისტრაციის №53/5/ბ-22	გამოდის თვეში ორჯერ	ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru		ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33		ს/კ 231948872	